

**ვინ ნაცვალსახელის  
მრავლობითი რიცხვის საკითხისათვის  
თანამედროვე ქართულში  
ON THE ISSUE OF THE PLURAL FORM  
OF THE PRONOUN 'VIN' ('WHO')  
IN MODERN GEORGIAN**

**ჯუჯუნა ფეიქრიშვილი**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო

**Jujuna Peikrishvili**  
Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Georgia

**ABSTRACT**

The pronoun **'vin'** (**'who'**) is an ancient lexical item. It has neither a complete paradigm of declension nor a category of number; abundance can be expressed by doubling the stem: **vin movida?** – **vin da vin movidnen?** (tamari da nino movidnen) (**Who** came? – **Who and who** came? (Tamar and Nino came).

From the 19th century, the **-eb** form of the pronoun **'vin'** – **'vinebi'** (**'whos'**) emerges in the mountainous dialects of the Georgian language, as “an attempt to create a plural form” of the **'vin'** pronoun (A. Shanidze). From the following period, **'vinebi'** (the **'whos'**) spread to other dialects, in general, to the Georgian language, and here and there even in fiction. Today it is especially noticeable in the speech of young people and children. It seems that the media, social network, and other means of communication also contribute to this process.

In our opinion, the basis for the emergence and further spread of the **'vinebi'** can be:

1. The need for formal agreement (apart from the semantic one) of the pronoun **'vin'** (**'vints'**) (**who** [**the one**] **who**) with the verb and the corresponding word (vin iqo sṭumari -vin iqo sṭumrebi>vin iqvnen sṭumrebi || vin da vin iqvnen sṭumrebi || vinebi iqvnen sṭumrebi) (Who was the guest – Who was the guests > Who were the guests || Who and who were the guests || Whos were the guests);

2. The analogy of the production of other pronouns formed with the suffix **-eb** (ra - ra-n-i, ra da ra || raebi. ('what') Cf. vin-vin and vin || vinebi ('who'); also dialect forms: amaebi, magaebi, magnebi, agenebi, eseebi, isebi/isnebi... (these/those);

3. The general regularity of a language involves giving more space to organic production compared to the descriptive one and facilitating the pronunciation, etc. (ra da ra moithoves? vin da vin çavidnen? Cf. raebi moithoves? vinebi çavidnen?). (What and what did they demand? Who and who went? Cf. What did they demand? Who left?).

The form **'vinebi'** ('whos') which is incorrect for the literary language is a new reality. Its future will probably be determined by the language itself.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ენის მორფოლოგია, ნაცვალსახელის წარმოება, ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის გამოხატვა.

**Keywords:** Morphology of the Georgian language, pronoun formation, expressing plural in pronouns.

**ვინ** ნაცვალსახელი უძველესი ლექსიკური ერთეულია, იმდროინდელი, როცა სახელებს არ მოეპოვებოდა ბრუნებისა და რიცხვის კატეგორიები. მას, სხვა სახელებისაგან განსხვავებით, დღესაც არა აქვს ბრუნების სრული პარადიგმა, სიმრავლე კი შეიძლება გამოხატოს ფუძის გაორკვევებით. სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, **ვინ**-ის მრავლობითობის გადმოცემის ერთადერთ საშუალებად დასაშვებია მხოლოდ **ვინ და ვინ** ფორმა, თუმცა თანამედროვე ქართულში, ძირითადად ზეპირ მეტყველებაში, მის პარალელურად გაჩნდა უფრო მარტივი წარმოება **ვინები**: ვინ მოვიდა – ვინ და ვინ მოვიდნენ // ვინები მოვიდნენ.

დიალექტური **ვინები**-ს არსებობა ქართულ ლინგვისტიკაში შენიშნული იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებამდეც. მაგალითად, ა. შანიძის დაკვირვებით, „ვინ ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვი ჩვეულებრივ არა აქვს, მაგრამ ცდა კი არის მისი გაჩენისა. „ყარაულებად ვინები არიან“-ო, ვკითხულობთ ყაზბეგის „მამის მკვლელობაში“. სიმრავლის გამოსახატავად ჩვეულებრივ „ვინდავინ“ იხმარება: „ვინდავინ იყო კრებაზე?“ (შანიძე 1973: 103).

**ვინები** არაა შეტანილი სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. წერილობითი მასალების გათვალისწინებით, მთის კილოებში **ვინები**-ს არსებობა სავარაუდოა XIX საუკუნიდან, რამდენადაც იგი დადასტურებულია ალ. ყაზბეგის თხზულებებში, ასევე, მომდევნო პერიოდის (XX საუკუნის 60-იან წლებამდე ჩაწერილ) დიალექტურ ტექსტებში:

გავალ მწყემსებთან, იქ გავიგებ, ყარაულებად ვინები არიან (ყაზბეგი 1962: 305).<sup>1</sup>

მოხ.: რო დაინახა ეს უცხო ხალხი, შორიდან ჰკითხა: – ვინები ხართო? (გიგინეიშვილი... 1961: 45).

გულ.: ვინებიც იცინიანო, ხვალ დაშჷამდენო, ევინებიც ტირიანო, მაგეებს დღეს დაშჷამდენო (იქვე: 98).

– ეს ვინები მოვიდესო (ქავთარაძე 1985: 132).

მოსულა და უთქომს: – ვინები ხართ თქუენაო? (იქვე: 125).

1960-იან წლებში **ვინები/ვინებიც**, სხვა საკითხებთან დაკავშირებით, დასახელებულია ნ. აბესაძის, ც. კალაძის, არ. მარტიროსოვის ნაშრომებში და იქვე მითითებულია, რომ იგი უმართებულოა, დიალექტუ-

<sup>1</sup> ალ. ყაზბეგის თხზულებათა I ტომზე დართულ ლექსიკონში (შეადგინა შ. ძიმბიგურ-მა) **ვინები** ასეა განმარტებული: „მრავლობითი რიცხვი ნაცვალსახელისა **ვინ** (ფართოდ გავრცელებულია მოხეურში)“. **ვინები**-ს რამდენიმე ნიმუშია დამოწმებული ი. ქავთარაძის მონოგრაფიაში „ქართული ენის მოხეური დიალექტი (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი)“. მასალა ჩაწერილია 1948 წელს.

რი. იმავე პერიოდში დაიწერა ლ. კვანტალიანის მონოგრაფია „მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში“. მასში ავტორი ცალკეულ დარღვევებზე მსჯელობისას ეხება **ვინები** ნაცვალსახელსაც და შენიშნავს, რომ **ვინ** ნაცვალსახელის **ებ**-იანი ფორმა **ვინები**, რომელიც შეიძლება ხანდახან გამოჩნდეს დიალექტებში, სალიტერატურო ენისათვის უცხოა... „კილოებში აქა-იქ გამოვლენილი **ებ**-იანი ფორმა (ვინები) გავრცელებას ვერ პოულობს“ (კვანტალიანი 1983: 64, 94).

მკვლევრის ზემოაღნიშნული მსჯელობა ძირითადად ემყარება დაახლ. 1970 წლამდე არსებულ ქართულ ენობრივ სინამდვილეს, პირველ ყოვლისა, დიალექტურ ტექსტებს, რომელთა მიხედვით, **ვინები** ნიშანდობლივი ჩანდა მხოლოდ მთის კილოებისთვის; იგი ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი დასავლური დიალექტების ნაბეჭდ მასალებში, არ შეიმჩნეოდა იმ კუთხის სასაუბრო ენაშიც. მაგრამ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან **ვინები** დადასტურდა დასავლურ კილოებშიც, იმავდროულად უფრო შესამჩნევი გახდა აღმოსავლურ დიალექტებში და, ზოგადად, ქართველთა სასაუბრო ენაში. ასე რომ, თანდათან იკვეთებოდა **ვინების** გააქტიურების პროცესი, რაც, ჩვენი დაკვირვებითაც, დღეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა დედაქალაქის მცხოვრებთა მეტყველებაში.

ჩვენს შეკითხვაზე – რატომ იყენებს **ვინ** და **ვინ**-ის ნაცვალად უმართებულო ფორმას – **ვინებს**, რესპონდენტთა უმრავლესობის პასუხი ასეთია: „ვინები მოკლე სიტყვაა და გამოსათქმელადაც ადვილია;“ „მე ვინები უფრო მომწონს, რა ებიც ხომ არის?“ „დაწერით, ალბათ, არ დავწერ, მაგრამ ზეპირად მაინც გამოვიყენებ“...

ამ ბოლო ათწლეულში **ვინები** განსაკუთრებით გახშირდა ახალგაზრდების, ბავშვების მეტყველებაში. ამ პროცესს, ჩანს, გარკვეულად ხელს უწყობს რადიო- და სატელევიზიო გადაცემები, სოციალური ქსელი და საკომუნიკაციო სხვა საშუალებები. მეტიც: **ვინები** გვხვდება მხატვრული ლიტერატურაშიც:

ხო იცი, მაგენი ვინები არიან? (ხოფერია 1990: 14).

გამამგზავნა, ნახეი ვინები არიანო (ჯაფარიძე 2001).

ვინები ხართ, ვის დაჰკარგვიხართ (აბულაშვილი 2001).

ნიმუშები ზეპირი მეტყველებიდან:

ნეტა ვინები გამოვლენ ეს ტყუპები; მან ნიჭიერები არიან (67 წლის)<sup>2</sup>.

ნეტავი ვინები კითხულობენ ფეისბუქში ამდენ რამეებს?! (53 წლის).

მე არ ვიცი, ის ბიჭები ვინები არიან, არავის არ ვიცნობ (სატელევიზიო არხი „მთავარი“, 2020 წლის 13 აგვისტო, ღამის გადაცემა).

იმ მასწავლებლებსაც გაუშვებენ, ვინებიც ახლა დარჩნენ სკოლაში, კრედიტებს თუ ვერ აიღებენ (ბადის მასწავლებელი, 23 წლის).

– გიო, შენი დაბადების დღეზე ვინები მოვლენ? (9 წლის).

– რას ვიზამთ, გვინდა თუ არ გვინდა, დღეს ვინები მაინც არსებობს (25 წლის).

<sup>2</sup> ციფრი რესპონდენტის ასაკს აღნიშნავს.

– ბებო, ესენი ვინები არიან, შენ თუ იცი? (5 წლის).

სასაუბრო ენიდან უამრავი ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მოლაპარაკე ინდივიდი არ გრძნობს რაიმე უხერხულობას ამ უმართებულო ფორმის გამო, პირიქით, მას ერთ-ერთ მარჯვე ენობრივ საშუალებად მიიჩნევს.

ჩვენ არაერთგზის გვაქვს აღნიშნული, რომ ვინები გრამატიკულად არასწორია, მაგრამ, მეორე მხრივ, დღეს მისი გამოყენების მოჭარბება გვაფიქრებინებს ამ საკითხზე სპეციალური მსჯელობის გაგრძელების აუცილებლობასაც. სხვაგვარად: რამდენადაც დაახლ. ორი საუკუნის წინ აღმოსავლურ დიალექტებში დადასტურებული ვინები დღეს ქართულ სინამდვილეში თითქმის ყველგან გავრცელდა, ამდენად, ვფიქრობთ, საჭიროა მისი ესოდენი გააქტიურების ხელშემწყობი ფაქტორების დაზუსტება.

ჩვენს ამ სტატიაში ძირითადად წარმოვადგინეთ ვინები-ს მოკლე „ისტორია“ (განვითარების გზა, გავრცელების არეალი). აქვე, საკითხის დასმის წესით, შევეცდებით საანალიზო ფორმასთან დაკავშირებით თეზისებად ჩამოვყალიბოთ ზოგიერთი წინასწარი ვარაუდი.

ვინების წარმოქმნა-გააქტიურების საფუძველი შეიძლება იყოს რამდენიმე მიზეზი, მათ შორის:

1. **ვინ/ვინც** ნაცვალსახელის ზმნასა და მისამართ სიტყვასთან რიცხვში არა მხოლოდ აზრობრივი, არამედ ფორმობრივი შეთანხმების აუცილებლობა. მაგალითად: „მოიხსენიეს **მხედრები**, ვინც ველზე დარჩა მკვდარია“ (ვაჟა) – წინადადება გრამატიკულად მართებულია.

შდრ. „ვინც ახლო სოფლებიდან იყვენენ, **ისინი** შინ დაბრუნდნენ (ე. ნინოშვილი) – ამ შემთხვევაში (ვინც იყვენენ) შეთანხმების წესი დარღვეულია. უნდა ყოფილიყო „ვინც იყო“, მაგრამ შემასმენელმა რიცხვში ანგარიში გაუწია **ისინი** მისამართ სიტყვას (ქვემდებარეს), ე. ი. მეტყველი ინდივიდისათვის უფრო მისაღები აღმოჩნდა აზრობრივი შეთანხმება (ისინი – ვინც იყვენენ).

**ვინ** ნაცვალსახელის მქონე გრამატიკულ ნორმებს დაქვემდებარებული კონსტრუქციის წინადადებებში სტილისტური თვალსაზრისით იქმნება არაერთი უხერხულობა, მათ შორის, ასეთებიც:

ა) ვინ იყო სტეფანე ზუბალაშვილი? (სამაგალითო მეცენატი).

შდრ. ვინ იყო ზუბალაშვილები **თუ**: ვინ იყვენენ ზუბალაშვილები?

ბ) ვინ და ვინ იყო კრებაზე? (ა. შანიძე) **თუ**: ვინ და ვინ იყვენენ კრებაზე?

გ) ვინ და ვინ **თუ**: ვინ და ვინ.

**ვინ** ნაცვალსახელისა და მასთან შეწყობილი ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით ამგვარი და სხვა სახის დარღვევები დღეს ენაში იშვიათი როდია.

როგორც ჩანს, ცოცხალი მეტყველება თავად ირჩევს მისთვის სასურველ ფორმას, თუნდაც – გრამატიკულად მიუღებელს, მაგრამ მისთვის მისაღებს. შესაბამისად, **ვინ**-ისაგან **ვინების** მიღების პროცესი შეიძლება ასე

ვივარაუდოთ: სტუმარი ვინ იყო > სტუმრები ვინ იყო > სტუმრები ვინ იყვნენ > სტუმრები ვინ და ვინ იყვნენ > სტუმრები ვინები იყვნენ.

2. ვინების გააქტიურების ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს -**ებ** სუფიქსით გაფორმებული სხვა ნაცვალსახელების წარმოების ანალოგია:

ა) რა – რანი || რა და რა || რა-ე-ბი

შდრ. ვინ – ვინ და ვინ || ვინ-ებ-ი

ბ) ამა-ებ-ი, მაგაები მაგეები || მაგნები; ესე-ებ-ი || ესები, ისები || ისნები;

ვინ-ებ-ი || ვინე-ებ-ი (ბ. ჯორბენაძე; გ. ხოფერია, გ. თავაძე...).

ნაცვალსახელთა ამგვარი ფორმები ნიშანდობლივია ყველა დიალექტისათვის, სასაუბრო ენისათვის, ამათი გავლენით კი თავს იჩენს მხატვრულ ლიტერატურაშიც.

3. ვინ ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის გაფორმებას შეიძლება განაპირობებდეს აგრეთვე ენის ზოგადი კანონზომიერება – (ეკონომიურობის პრინციპის მიხედვით) აღწერითთან შედარებით მეტი გასაქანი მისცეს ორგანულ წარმოებას, გაამარტივოს რთული კონსტრუქციები, გააადვილოს წარმოთქმა და ა. შ. (რა და რა მოითხოვეს, ვინ და ვინ წავიდნენ... შდრ. რაები მოითხოვეს, ვინები წავიდნენ...).

მაშასადამე, სალიტერატურო ენისათვის მიუღებელი ფორმა ვინები დღეს რეალური ფაქტია. მის მომავალს, ალბათ, თავად ენა გადაწყვეტს.

### გამოყენებული ლიტერატურა

**აბესაძე 1960:** აბესაძე ნ., ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში. თსუ შრომები, ტ. 93. თბილისი, 1960.

**აბულაშვილი 2001:** აბულაშვილი თ., მოთხრობა. გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, 2-9 მარტი, 2001.

**არაბული 2004:** არაბული ა., მეტყველების კულტურა. თბილისი, 2004.

**გიგინეიშვილი... 1961:** გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I. თბილისი, 1961.

**ზექალაშვილი 2018:** ზექალაშვილი რ., ქართული ენა (მოკლე პრაქტიკული კურსი). თბილისი, 2018.

**თავაძე 2005:** თავაძე გ., მზემამულ ხეთი. ქუთაისი, 2005.

**კალაძე 1962:** კალაძე ც., განსაზღვრება ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II. თბილისი, 1962.

**კვანტალიანი 1983:** კვანტალიანი ლ., მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში. თბილისი, 1983.

**მარტიროსოვი 1964:** მარტიროსოვი არ., ნაცვალსახელი ქართველურ ენებში. თბილისი, 1964.

**ფეიქრიშვილი 2018:** ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის მორფოლოგია (შევსებული და გადაამუშავებული გამოცემა). თბილისი, 2018.

**ქავთარაძე 1985:** ქავთარაძე ი., ქართული ენის მოხეური დიალექტი. თბილისი, 1985.

---

**ყაზბეგი 1962:** ყაზბეგი აღ., თხზულებანი, ტ. I. თბილისი, 1962.

**შანიძე 1973:** შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, II გამოცემა. თბილისი, 1973.

**ძიძიგური 1962:** ძიძიგური შ., აღ. ყაზბეგის თხზულებათა I ტომზე დართული ლექსიკონი. თბილისი, 1962.

**ხოფერია 1990:** ხოფერია გ., ანა კარენინა და ბებიაჩემი. ქუთაისი, 1990.

**ხოფერია 2005:** ხოფერია გ., მესამე მსოფლიო ომი. ქუთაისი, 2005.

**ჯაფარიძე 2001:** ჯაფარიძე თ., მოთხრობა: გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, 20-27 ივლისი, 2001.

**ჯორბენაძე 1989:** ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბილისი, 1989.